სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

ზ.გამსახურდიას სანაპირო N1, 0114
თბილისი, საქართველო
1 Z.Gamsakhurdia Named Right Bank, 0114 Tbilisi, Georgia;
+995 032 225 33 02/99

281-04-2-202609041457

N 04-281
04/09/2026

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით კარგარეთელს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის რესურსების XI-B სალიცენზიო ბლოკზე, (საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონები) შპს „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“-ს დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გეო კონსალტინგი“ ამზადებს ამზადებს ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტის - პატარძეული აჯგდ 4-ის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ (გზშ), რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გიგზავნით შპს „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“-ს მიერ წარმოდგენილ ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტის - პატარძეული აჯგდ 4-ის სკოპინგის ანგარიშსა (გზშ-ს მომზადების პირველი ეტაპი) და განცხადებას, რომელიც საზოგადოების ინფორმირების მიზნით უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (მოთხოვნის შემთხვევაში - უზრუნველყოფილი იქნას მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდება 2026 წლის 18 სექტემბერს 14 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში. გთხოვთ, უზრუნველყოთ გარდაბნის მუნიციპალიტეტში აღნიშნული საკითხით დაინტერესებული საზოგადოების დასწრება საჯარო განხილვაზე.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი